



საქართველოს იუსტიციის მინისტრი

ბრძანება 477



KA010179788205014

თბილისი

16 / აპრილი / 2014 წ.

„საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 29 მარტის 382 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მაისის №105 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის წესის“ მე-4 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 29 მარტის №382 ბრძანების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის კომისია შეიქმნას შემდეგი შემადგენლობით: ირაკლი შოთაძე – საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე); გიორგი გაბიტაშვილი – საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); გიორგი გოგაძე – საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე (კომისიის წევრი); მამუკა ვასაძე – საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამომიებო ნაწილის უფროსი (კომისიის წევრი); ნათია მეზვრიშვილი – საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის წევრი); მირანდა მელქაძე – საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის წევრი); სოსო არჩვაძე – საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი (კომისიის წევრი); ირაკლი ჩილინგარაშვილი – საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის წევრი); ნიკოლოზ დგებუაძე – საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის წევრი); მიხეილ შაყულაშვილი – ქ. თბილისის პროკურორი (კომისიის წევრი);

შალვა შავგულიძე – სისხლის სამართლის ექსპერტი, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის სპეციალისტი, საქართველოს პარლამენტის წევრი“.

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

Handwritten signature in black ink, appearing to read "ა. შალვა".

თეა წულუკიანი